

ქალაქ ქუთაისში, ბუხაიდის ქ. მე-2 მიკრორაიონი N33 საცხოვრებელი სახლის
N43 ბინაზე, მოქალაქე მარინე ჯაშიტაშვილისათვის საკუთრების
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა ბუხაიდის ქ. მე-2 მიკრორაიონი N33 საცხოვრებელი სახლის N43 ბინაში მცხოვრები მოქალაქე მარინე ჯაშიტაშვილის განცხადება /2013 წლის 21.02 Nჯ-2235/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, ბუხაიდის ქ. მე-2 მიკრორაიონი N33 საცხოვრებელი სახლი N43 ბინა/, საკუთრების უფლების მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ბუხაიდის ქ. მე-2 მიკრორაიონი N33 საცხოვრებელი სახლის N43 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე მარინე ჯაშიტაშვილს.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /ვ.აბულაძე/, ქალაქ ქუთაისში, ბუხაიდის ქ. მე-2 მიკრორაიონი N33 საცხოვრებელი სახლის N43 ბინაზე /საერთო ფართობი 80,48 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 41,00 კვ.მ, დამხმარე ფართობი 32,88 კვ.მ, საზაფხულო ფართობი 6,60 კვ.მ./ მოქალაქე მარინე ჯაშიტაშვილის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა კ.რატიაშვილმა.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრამის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი

ბ.ბრეგაძე